

F 24  
1887



# თეატრი

სამოველ-ჰვირაო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1887 წელსა

№ 9 და 10

მარტის 22.

გაზეთის ღირს: ერთის წლ. 5 მ., ნახ. წლ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქ. კანტორაში. ფოთში ბესარ. კალანდაძესთან. ადრესი გარეშე მცხოვრებთათვის: Тип-листъ, въ редакцію газеты „ТЕАТРЪ.“ გაზეთი ისყიდება: თბილისში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან; ალიხანოვის პაპირო-ზის მაღაზიაში. ქუთაისში: ჭილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიე-მანერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საქორება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას. ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

## ეს ნომერი ღირს

სურათით—25 კაპ. უსურათოთ—15 კაპ.

სურათი ცალკე—15 კაპ.

ქვირას, ამა მარტის 22-ს, დილის 11 საათზედ, კალოუზნის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ახლად მიცვალეზულის, გლეხის იოსებ დავითაშვიდის მოსახსენებლად მის ნაცნობთა და მისის ნიქის-პატივის მცემელთა-მიერ.

† იოსებ დავითაშვილი

## ნეკროლოგი.

როგორც გვაცნობებს თელავიდან მოსული ტელეგრაფი, ამ თვის 13-ს იქ გადაცვლილა ჩვენი სასაღვთისმშობლის მწერალი იოსებ დავითაშვილი.

ბევრს სამწუხარო ფიქრსედ გვაყენებს სიცოცხლეცა და სიკვდილიც ამ ნიჭიერი მელექსისა; ამასთან იმისი ლიტერატურაში გამოხვალა, უნდა აღვიძებდეს ბევრს იმედს ჩვენს სასოწარგვეთილს გულში.

იოსებ დავითაშვილი იყო სულ უმაწვილი კაცი. ის იყო უბრალო დღიური მუშა; დარბიი გლენ-კაცის სახლობიდან გამოსული. გარდა ქართულისა არ იცოდა სხვა ენა. სწავლა არსად არა ჰქონდა მიღებული. ანბანი, როგორც თავის შემდეგი ლექსიდანაც ჰსჩანს, ისწავლა თავის დისაგან: აი ის ლექსი:

მკითხებიან გლენის ბიქს  
 ხად უვისწავლე მღერაო,  
 ლექსი კარგა გაჩარხული  
 მესტვირულების წერაო.

შურს გიგდებთ აბა გვითხარი  
 მინ უგვასწავლა წერაო,  
 მოძმის ძმურად სიყვარული  
 ბრძნობით გულისა ძგერაო.



მე და მყვანდა ნიკიერი  
 თუმც არ იყო მსწავლეულია,  
 პაც მოყვარე გრძნობით საესე  
 მჯახის ბურჯი სრულია.

ერთხელ მითხრა: მოდი ძმაო  
 მინდა რამე გიზიარო,  
 ძეთილ გზაზედ დაგაყენებ  
 მინძლო ძმაო ზქდ იარო:

წიგნის სწავლა ნათელია,  
 უსწავლელობა ბნელია,  
 ანბანს გასწაველი, ეცადე  
 მაგრა მოჰკიდო ხელია.

შეაბის მურის მონალესით  
 მომიმზადა მელანია.  
 ხარის ბეჭი დაფად მქონდა  
 და ოსტატად მელანია.

ანაბანა და მიწყალე  
 შემასწავლა ყველანია,  
 შემიყვარდა ლექსთა კრება  
 ბადვიკითხე ყველანია.

და როდესაც ამ კვარათ შეისწავლა ქართული წე-  
 რა-კითხვა, იმას შეუჟვარდა კითხვა წიგნებისა და თა-  
 ვის უკანასკნელს გროშს ჭსარჯავდა ქართულს წიგნე-  
 ბზედ. ის გონების გაღსნილობა, რომელიც გამოჩანს  
 იმის მღაბიო ლექსებში, იყო ნაყოფი ქართული მწერ-  
 ლობისა.

გამოსულს ღარიბი გლეხის ოჯახსიდაძმ, იძას ღრმა-  
თა ჰქონდა გულში ჩასახული საწყალი კაცის ცხოვ-  
რება, დარდი და ვარაძი და ნიადაკ იძას დასტრიალე-  
ბდა ჰოეზია ი. დავითაძვილისა. კილო, ენა, ლექსთა  
წეობა, გამოთქმა გულის თქმათა ეოველივე იუო სალ-  
სური; კაცს ეკონება თვითონ სალსის ჰირიდაძმ ეს-  
მის ეს სძებოო. ამასთან, იმ გვარს სასალსო ლექსებში  
იუო შესაძებით ჩართული ამ გვარი აწრებიც, რომელ-  
ნიც მკითხველს უნდა უსილებდენ თვალს იმ კარე-  
მოებაწედ, რომელსაც ენება ჰოეტი, და ეს აწრები  
იუენენ ისრე წარმოთქმული, როგორც კი შეუძლიან  
წარმოსთქვას შეგნებულმა უბრალო მდაბიო გლეხმა.

იძის ლექსებში ისახება გულის ტკივილი და და-  
რდი იმ სალსისა, რომლიდაძმაც თვით ჰოეტი იუო  
გამოსული.

თუძცა ხელობა ამისი იუო სწება, მაგრამ იძას ის-  
რე შეუუვარდა ის საწოგადობა, სადაც მცირეც არის  
მოძრაობდა კონება და საწოგადო საქმეთა წაღმართე-  
ბა, რომ ვერ მოჰმორებოდა ამ საწოგადობას, რჩეო-  
ბდა აქ სიმძილს, სწვაცან კეთილს ცხოვრებას და ამის  
გულისთვის ის არ ვრიდებოდა თვით უბრალო მუშურს  
საქმესაც.

ეოველს ღაწარაკს, ეოველს მსჯელობას რომელ-  
საც ჩვენს ინტელიგენტთა შორის მოჰკრავდა ეურს, და-  
ვითაძვილი ხარბათ ეწაფებოდა; იუო ეურად-ღებათ  
გადაქცეული, და რასაც შეიგნებდა, გადასცემდა თავის  
მოძმეთა.



სამწუსაროა ის მოვლენა, რომელიც ათასობით ჭნთქავს და უკარგავს ქვეყანას ამ გვარს ნიჭს. სანუ-გემოა, როდესაც ჭხედავ, რომ ამოდის ბრწუინვალე და ცსოველი ნაბერწკლები იმ წრიდგან რომლიდაძაც იყო გამოსული იოსებ დავითაშვილი...

გარდაცვალებული იოსებ დავითაშვილისაგან, წარ-სული თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, „თეატრის რედაქციამ მიიღო დაწერილი მოკლე შენიშვნა, თე-ლაჟში გამართულ ბალსე წერა-კითხვის გამაფრც. სა-სოგად. სასარგებლოდ. ეს შენიშვნა იყო დაბეჭდილი „თეატრის“ № 8-ში, და-ამასთანავე წერილი, რომელშიაც ჩიოდა თავის სილატაკესედ, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს თავის ავადმყოფობასე. და ვერც არ ვი-ცით ასე უცებ რამ მოუღო ბოლო.

ამ უკანასკნელს დროს მუშაობდა თელავში ვარ-დენ გოცირიძესთან...

### გარდაცვალებულ იოსებ დავითა-შვილზე

† გლახაკთა მეგობარო,  
 გლახაკთ ჭირის მომთქმელო,  
 დაგვერიფა გულ-სელი,  
 სულით გულით ქართველო!

შენი მეტვეელი სიტყვა  
 საუკუნოდ მოგვაკლდა;  
 შენი გულისა ღელვა  
 გაქქრა და მთლათ გაქარწულდა.

სიღარიბით აღსდილო  
 შწარე სიცოცხლე გქონდა..

შენებრივ მუშებისთვის  
 მუდმივ გული გეწოდა

ცივ იატაკზე იწექ  
 მონძებში გასწეული;  
 ვინ იცის გულს რას ჭკრმნობდი  
 სიკვდილით მოწყული.

ას სიკვდილო ბოროტო  
 მხარი რათ მოგვიძაღუ:  
 გლასაკთ ჭირისუფალი  
 წავებართვი მოგვაძორე.

1887 წელს.

მარტის 17 დღესა

გომელი

## კ რ ი ტ ი კ ა

### I.

დაიხ, ჩვენს განათლებულს სასოგადოებაში ხშირად ისმის გულმის ტკივილი, რომ ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლიაო. ამ ნაკლის მიზეზად ზოგი იმას ამბობს, რომ ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისთვის მეტად ცოტა საზღოს იძლევა; ზოგი იმას, რომ რიცხვს იმდენად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც თვით ღირსებას, ესე იგი, ლიტერატურის შინაარსსაო და აი ამ მხრით ჩვენი ლიტერატურა მეტად ხელმოკლეა და კრიტიკას ჩვენს ლიტერატურაში ვერ არავითარი საქმე და საბიული არა აქვსო.

ისინი კი, ვინც პანთეონის უაგანანის სიბრძნით კი არ დაჭკვირებინ ჩვენს ლიტერატურას, არამედ გამჭრინასის გონების თვალთა, ვინც ცოდნითა, სწავლითა და მცნიერებით გაწურთნილები



და გაწმენდილები არიან სეღვისა და ჩხრეკისათვის, ამბობენ, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას ვი არ უნდა დაბრალებდეს, არამედ ჩვენს ქონდრის-კაცობას, რომელიც იმოდენად უძღურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლიტერატურის სიღრმისთვის გონების თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენის ზოგისთვის სიმაღლისთვის თვალი გაუსწორებიაო.

იმის თქმას, რომ ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისთვის ცოტა საზღოს იძლევა, საბუთი არ მიუძღვის: ცოტაა თუ ბევრია მანინც გარჩევა და გარკვევა უნდა. არც ის არის საბუთიანი, ვითომ ჩვენი ლიტერატურა მეტად ხელ-მოკლე იყოს, და კრიტიკისთვის საქმეს და საზოგადოებს არ წამოგვიდგენდეს. ჩვენ არას ვიტყვიტ ჩვენს ძველს ლიტერატურაზე, რომელსაც ასეთის სიუხვით ასხივობებს „ვეფხისტყაოსანი,“ — ეს უძირო მორევი, აზრისა და გრძობის ზღვა; ჩვენ არას ვიტყვიტ არც დავით გურამიშვილზე, რომლის დიდაკტიური ზოგია შირს არ შეირცხვენს, თუნდ ლუკრეციუსის, ვირგილიუსის და ჰორაციუსის დიდაკტიურს ზოგისას რა დაუყენოთ შირის-შირ; არას ვიტყვიტ ძველ განტანგ VI-ზე და არხილ ძეგეზე, რომელთაც ვერავინ დასწამებს აზრების და გრძობის სიმჩატეს და რომელნიც მოკლიან გონება-მასხილს კრიტიკოსს. საკმაოა გავისხენოთ ამ მეტრამეტე საუკუნის ჩვენი ზოგია და მის წარჩინებული წარმომადგენლები თ. ალექსანდრევიტიანი და წყობილი თ. ილია ჭავჭავაძემდე და მამის ცნადად დაჯინახავთ, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას არ უნდა დაბრალებდეს.

უსაფუძვლოა აგრეთვე იმის თქმა, რომ ვითომ კრიტიკის უქონლობა იმის ბრალი იყოს, რომ ვითომ ჩვენი „ინტელიგენცია“ მეტად სუსტი იყოს გონებრივის თვით მოქმედებისთვის და რომ ვითომ ჩვენში არ მოიპოვებოდეს იმისთანა შირნი, რომელთაც კრიტიკისთვის საჭარო უნარი ქონდეთ, ის უნარი, რომელსაც თვით მსველობას, თავისით მოქმედებს, თავისით სვლას ეპისიან.

ამ აზრის მიმდევრებს წინააღმდეგ მტკიცებობა მოსდით. ერთის მხრით ისინი დიდის მჭერ-მტკიცებით ამტკიცებენ, რომ ვერავინ შეუძლიან ჩვენს ლიტერატურას უშინაარსობა დასწამოსო,

რომ „თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ბევრი რამ ვერ კიდევ სანატრელი არ იყოს ჩვენის ლიტერატურისთვის საზოგადოდ და ზოგისთვის ცალკედ, მაგრამ ისიც, რაც გვაქვს ჩვენ დღეს, ღირს შესანიშნავი განძიაო“. ისინი მთელს ქვეყანას ატელობენ, რომ ჩვენის ლიტერატურის სოციალური ნაწარმოები „უძირე მორეკია, ზღვაა აზრისა და გრძნობისაო“, რომ დიდს ცოდვას ჩადენს, ვინც მას აზრებისა და გრძნობების სიმნატეს დასწამებსო. ისინი გარჩევას არას სდებენ ამ მხრით ძველსა და ახალს, ამ დროულს, ლიტერატურას შორის. ეს ძალიან კარგი და ნამდვილიც, მაგრამ მეორე მხრით ისინი ეწინააღმდეგებიან თავიანთ თავს იმის თქმით რომ ვითომ ჩვენში საკუთარის მსჯელობის უნარი არ იყავს. ნუ თუ შესაძლებელია რამოდენადმე „ღირსშესანიშნავი განძი“ ლიტერატურისა განხდეს იმ ერში, ან ინტელიგენციაში, რომელსაც „უნარი თვით მსჯელობისა არა აქვს გასწილი და გადაშლილი?“ ნუ თუ ზოგიაში მძაღლის აზრებისა და გრძნობების გამოხატვლად საჭირო არ არის „თვით მსჯელობისა უნარი?“ ნუ თუ ლიტერატურის სასული დაერქმის იმ ლიტერატურას, რომელიც დაბადებულია იქ, სადაც გრძნობასა და ტყუას არ წაიმძღვრებენ, არც საკუთარს მსჯელობას იქონიებენ? არა, არა და არა. თუ ჩვენი ლიტერატურა ღირსშესანიშნავი განძია, გრძნობითა და აზრებით სავსეა, მაშინ ქონდრის-კაცობასაც, თვით მსჯელობის უნარის უქონლობასაც ვერაუბნ დაგვწამებს.

ქონდრის-კაცობა, უუნარობა ბუნებრივი ნაკლულებანება; თუ კაცს ერთსულ დაუმტყიდდა ეგ თვისება, გათავებულია მის საქმე. ქონდრის-კაცი ვეღარ ამართავს ტანს, უუნარო ვეღარ შეიძენს უნარს. სხვას რომ დაეწამნა ჩვენის „ინტელიგენციისთვის“ ქონდრის-კაცობა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვეკლასე ვკეთესად ამ ცილს ისინი გააქარწყლებდენ, ვინც დღეს შინაურულად ამასვე სწამებენ ისევე იმ „ინტელიგენციას“. ესეც მეორე წინააღმდეგ-მეტყველება იმ პირობა, რომლებიც პარიზის ყავასანის სიბრძნით ვი არ დაჭკვირებთან ჩვენს ლიტერატურას, არამედ გამჭრიახის გონების თვალთ.

რა არის ნამდვილი მიზეზი იმის, რომ ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლია, კედლებით შემდეგს წერილში ვთქვათ.

# ყ რ ი ე ლ ა ვ ო ს ტ ა

(გაგრძელება).

ს ა ნ თ ო ს .

ე ბ ჯ ღ ს რ ე ბ ა

ამტვიცებს მხოლოდ შენს სიამაუეს.

ა პ ი შ ა .

ავოსტა, გრძელი გზა აიწიე!  
 მაშინ ის, რაც შენ აქ აღიარე  
 სულის საუნჯეს მიემატება.  
 შეილო, გრძელი გზა გირჩევ ირწიო  
 და დაძვინჯე, რომ იგი მოჭფენს  
 მშვიდობას შენსა მღელვარე სულს!  
 ისეთს სკეპტიკებს, როგორც შენ ხარ,  
 ყველაფერს უსშობს ცოდნის წყურვილი;  
 აბა აილე ტალმუდი—შენ იქ  
 ნახამ მრავალს კაცს გზა-დაბნეულსა  
 მხოლოდ მისთვის, რომ ბეერი სცოდნიათ...

(მიჰმართავს სხვა რაბინებსაც.)

ბეელად სცხოვრობდა დიდი სკეპტიკი,—  
 ერქვა ელიზა ბენ-აბუია.  
 ის ერთის წვენის სწავლულ რაბინის  
 მოწაფე იყო, მასაც მოწაფედ  
 ჭყუანდაო ბრძენი რაბი მეღირი.  
 მისთვის რომ იგი იჭვიანობდა,—(აღვება)  
 ხალხმა დასწვევლა... ბენ-აბუიაც  
 ისეთი იყო, როგორც შენ ხარ.  
 მისსა სახელსა ისხენიებდნენ  
 ზიზლითა და მას დაერქვა ა ს ე რ ;  
 ა ს ე რ - ნ ი შ ნ ა ვ ს ს კ ა ს ; ს ს კ ა ს ა ს ე ლ ი თ ა  
 იგი ტალმუდში არ ისხენება;

ესრედ დარსა სსკად ბენ-აბუის  
 და როცა მოკვდა მის საფლავიდან  
 კვამლი დიდსანსა ამოდიოდა,  
 ვიდრე მოწათემ მისმა შეღირმა  
 არ შეუძინარა იმ სოფლის ტანჯვა.  
 იგი მოწათე მასწავლებლისთვის  
 დოცულობდა გულ-მოდგინებითა—  
 და საუკუნოდ გაქვრა ის კვამლიც.  
 მისებრ ასერი შენც ხარ, ურთილ!...  
 ზო, დილ, ყოველივე ყოფილას!.. (დაძღება.)

### ურიელ.

თქვენა გგონიათ მე დიდებისთვის  
 კმოცილეობდი? ასეჭის კვამლი  
 იყო მის სულის მგზნებარე ალი,  
 რომელიც თქვენ თვით დამარსეთ. დილ,  
 მე ასერი ვარ, თქვენ მართაღს ამბობთ.  
 მე სსკა ვარ, მუდამ სსკა იმისათვის,  
 რომ მხოლოდ ამა სსკა ცხოვრებაში  
 ვსედავ წინდს მარად მოძრაობისას...  
 რაკი ტალმუდი განუმარტებლად  
 არ შეიძლება,—დამიგდეთ ყური:  
 მე გგონია, რომ თქვენი ასერი  
 არასდროს ქვეყნად არა ყოფილა;  
 ასერი—ეს სომ სიმეოლო არის  
 აწროვნობისა: სომ მხოლოდ მასში-  
 რაც ვარ, მე არა სსკა შია განსაკ  
 როგორიცა ვარ და გავიგებ მე  
 ჩემს განსსკავებს და ჩემს სიმართლეს  
 შევიგნებ. სსკა—ეს უწმინდესი  
 სიმეოლო არის იტყნეულობის,—  
 და იტვი სომ თვით სარწმუნოებას  
 სულს უდგამს. თქვენსედ თქვენი ტალმუდი  
 რასაკვირვლია ქვეყანას;

ამისათვისაც იგი ასერსა,  
 რომელიც მხოლოდ მიფია, სასე—  
 და სსვა არა რა—ერთს და იმაკ დროს  
 მის მასწავლებელს ბრძენსა უწოდებს  
 და მის მოწათეს უფრო ბრძნად სასხვს;  
 ორივე არიან ღვთისა მოშიშნი,  
 მისთვის რომ ღვთისა მოშიშრობას  
 ანიჭებს ყოველს კაცს მხოლოდ იჭვი.

### აძიბა.

დე-სანტოს! მგონი ასე სთქვა, არა?  
 ბენ-აბუა არ ყოფილა?...  
 კაცს ტალმუდისგან აღიარებულს,  
 მიფადა სასხვს და სსვა არა რად?..  
 და მას, რაც სისსლი და სორცი არის  
 მოწმუნეთათვის და რის ნახვარა  
 სუვეელას ძალ-უმს,—ყოველივე ეს  
 მხოლოდ ღრუბელი, კვამლი არისო,  
 რომელმაც მხოლოდ შემდეგ მიიღო  
 კაცის სასეო?.. არა, ეს აზრი  
 სულ ახალია, არვისგან თქმული,—  
 ეს აზრი უნდა მან შეინახოს..  
 მიუციოთ აქტი უარ-ყოფისა!

### სანტოს (აძლევეს ურიელს ქალაღს).

მხოლოდ ერთს ბედსა თუ შეუძლიან  
 შენ დაბლა თავი დაგასრეკინოს;  
 თორემ სიმშვიდეს-გერასგზით გერა.  
 რაც შენ შირითა აქ აღვიარე  
 მას შენი გული არ თანაუგრძნობს.

(უჩვენებს სცენის უკანა ნაწილზედ).

აგერ იქ, სადაც კიდობანი დგას  
 და სადაც საღსი ესლა გროკდება,  
 იქ აღვიარე შენი ცოდვები,

რომელთაც აგრე ცხიერებითა  
შენს თავს აბრალვებ.

ურიელ.

შევე გტოვებ? შენ კაღვარო ხალხის წინაშე?

აპიბა.

ჟერ მარტო თვითონ შენ წაიკითხე,  
რაც აქ ხმა-მადლა ხალხის წინაშე  
გსურს აღვიარო ცხადად, გარკვევით...  
ეგ რა სთქვი შენა, რა მოიგონე:  
ასერს ქვეყნად არ უცხოვრობია!  
შენ ხომა ცხოვრობ? მას რაღად გინდა  
ბენ-ახუთა მიფად გახადო?

აპიბა.

აკი ვსთქვი! მას ასერიც ეოფილა!  
წადი-უარბი ჭყვ, ჩემო შეილო,  
მხოლოდ მისთვის რომ შენი გონება  
უფრო გაფსინლდეს, — შემდეგ დაიწვე  
ტალმუდის კითხვა გულ-მოდგინებით...  
ქვეყანაზედა ვეგლა სკეპტიკებს  
თვის სწავლა ბოლოს უარ უყვიათ...  
ახალი მხოლოდ იქ, ზეცაშია!..  
აქ ეოველივე ეოფილა, დაიდი!.. (წასვლის დროს).  
არ დაივიწყო ტალმუდის კითხვა  
გულ-მოდგინებით, ჭაბუკო ასერი!..  
დაიდი, ეოფილა ეოველის ფერი! (გადის)

გამოსულა მისამე

ურიელ (მარტო), შემდეგ რუბენი

ურიელ (ეტრატს დასტყერის).

ჩემო შემრცხვენო აღსარება! შენ  
ჩემს გულზედ წელულად ხარ აღბეჭდილი

და მზუდ უფრო მკვიდრათა სდგესარ,  
 ვიდრე ეტრატზედ, რომელზეც ისრით,  
 გესლიან დანით და გვლისა ენით  
 მე დაგინახე შენ დაწერილი!..  
 ოჲ, ამ დაჭრილს გულს კელარ გაჭკურნავს  
 კერა მალამო და თუ გინდ მოხდეს,  
 რომ დრომ გაჭკურნოს მის ჭრილობანი,—  
 იმ ჭრილობათა დაღნი მანინცა  
 არ იქნებიან დაღნი მაშვენნი  
 უშიშარისა მებრძოლის გმირის!  
 წუსელის ჩემსა საპურობილეში  
 სისმარში ვნახე მე დედა ჩემი;  
 დამშვიდებულის და წუნარის სასრით  
 მოვიდა ჩემთან სუტეშ-საწყძელად;—  
 მას გვერდით უდგა ჩემი ივდიითი,  
 შარავანდედით გაბრწუნებულნი...  
 გამოძევიდა და კვლავ ვიხილე  
 ოთხი კედელი საპურობილისა,  
 ბოღმით აღმეკვრა სული და გული  
 ვით გალილეის!.. გალილე! შენ  
 გაწამეს, გტანჯეს და გათქმევიანეს,  
 რომ დედა-მიწა არა ბრუნავსო,  
 მაგრამ როგორც ვი წამს შეგასვენეს,  
 შენ მაშინათვე წამოსტი ზეზედ  
 და კარდინალთა კრებულის შორის  
 შენმა სიტყვებმა გაინმაურეს  
 მესისავითა: «მანინ ბრუნავსო!»  
 მე ეს სიტყვები «მანინ ბრუნავსო!»  
 წამს არ მაძლევენ მოსვენებასა,  
 და უოკელს ჟამსა ეურში მიდგია  
 შენი სიტყვები: «მანინ ბრუნავსო!»  
 მანინ ბრუნავსო!»

(სცენის გარედ ბავშვების გუნდი ფსალმუნს გალობენ)

აი გალობენ!

ვიშ ამა სმასა! ვიშ ამ გალობას  
 უმანკო სულთა! აწ იმა ყრმათა  
 რა იციან, რომ აგალობებენ  
 გალობას შურის-ძიებისასა...  
 ნუთუ ასეთი არის კანონი  
 ყველასათვისა?.. რა, ღმერთო ჩემო,  
 განა არ შედავ, ვით გაეთასსირდი?  
 განა შენ ბრძანე, რომ ზეგარდამო  
 არავინ ხელი არ გაუწვდიანოს  
 უბედურს კაცსა დასახსნელადა?..

რუბენ (სტენის გარეთ).

გამიშვიო!.. მისი ნახვა მწადანს  
 გამიშვიო!

ურიელ

ჩემი ძმას!

რუბენ (შემოდის)

ურიელ!

ურიელ

მე ვსაჭიროებ შენს სიყვარულსა  
 შეურაცხ-ყოფის წინადა კი არა,  
 იმის შემდეგა.

რუბენ.

ივინი შენთან

ჩვენ არ გვიშეებდნენ; ძმას ძმის ნახვასა  
 უშლიან!.. შესდეგ ძმაო ურიელ!  
 სახლობისგან ვარ გამოგზავნილი.  
 ჩვენ არ გვინდა, რომ შენ უარი ჰყო!  
 ნუ იზამ ჩვენის გულისათვისა...

ურიელ.

მე დედა ჩემსა დაუდევ აღთქმა  
 და...

რუმენ.

დედასა! ვაჟმე! როცა იგი  
ცოცხალი იყო... სინამ მას სული  
აღმოსდებოდა, შენსა ნახვასა  
სულ ნატრულობდა, მაგრამ ამაოდ...

რუმენ.

ჩემნი წერილი

შენ არ გადმოგცეს,— და ძალის-ძალად  
მე შემოგუდი... დიად ურთულ,  
იგი განმორდა ამ სოფელს, სადაც  
წვეულა გველოდა!

ურიელ.

გადაიცვალა!..

მანც თუ ასეთს მწუხარების დროს  
შესაძლო არის ნუგეშის ცემა,  
თუ შესაძლოა ცრემლთან ღიმილი,—  
მადლობელი ვარ ჩემის პედისა,  
რომ ღედა ჩემი გადაიცვალა  
ისე, რომ იმას უკვე ვგონებ  
შენანებული, როცა მე ტანჯვა  
ჟერ არ შეცადა...

რუმენ.

უკან წაიღე

შენი სიტყვები. ჩვენ გაგში წავალთ  
და იქნება იქ ასალმა ბედმა  
გატვიდომოს ჩვენ...

ურიელ.

ეგ რა სოჭეი შენა?

უკან წავიღო ჩემი სიტყვები?  
რუბენ, სომ იცი, რომ ჩემი გული  
მე არ შეგუთენის; ერთი ნაწილი  
იმა გულისა უკვე მივიღე

განსვენებულის დედინემისგან  
და მეორე კი მე მიმიცნია... (საუკიროს სმას ისმის)

რუბან (იჭერს ურიელს)

ივდითისათვის?..

ურიელ.

ქმარ გამიშვი!

გამიშვი! სედავ ატერ მექსის  
სმას იდუმალი სიუვარულისა! (სწრაფად გავარდება).

გამოსვლა მმოსხე.

სცენის უკანა თარდა აიწევა. მოჩანს შიგნითა ნაწილი სინალო-  
ლისა. რამდენიმე საფეხური აქვს კიბეს, რომელიც მიდის იმადგი-  
ლისკენ, სადაც კიდობანი ინახება. ოთხი ძალიან არის განათებული.  
კარავში სხედან: სანტოს, ემბდენი და ორი რაბინი თავზე.  
ზეწარ წამოფარებულნი. ურიელ და რუბენ.

სანტოს

წარსდექ წინაშე კიდობანისა,  
ურიელ აკოსტა! ისრაილი  
შენს სინანულსა ელის!

რუბან. (იჭერს ურიელს).

მოიცა,

მოიცა... ივდიო...

ურიელ.

აი, აი ის,

სასელი, მე რომ ბედად გამისდა!  
ჰა, მხალხო ფესო, დაუბრკოლებლად  
წინ წადექ... (ადის კიბის ერთს საფეხურზე).

რუბან.

ჰოი ბედისა უკუღმართობაჲ!  
მან ვერ არ იცის მანასეს სასლში  
რა ამბავია. იგი საბრალდო  
დედისათვისა უარსა ქუოფდა—

დედა კი მოკვდა! მან იგდითისთვის  
 გასწირა თავი—და ისიც იმას  
 წაართვეს!

სანტონს (მიბრუნდება სინალოლის შიგნითა ნაწილისკენ).

ეურად ისვენ, ისრაილ,

და გაისარე კიდით კიდედმდე!

შრიმლ (კითხულობს აქტს უარ-ყოფისას; შორს მუსიკა  
 წყნარად უკრამს).

• მე ურიელი აკოსტა შქვანს,  
 დაბადებით ვარ შორტუგალელი,  
 სარწმუნოებით კი ებრაელი,  
 აქ ვალვიარებ ღვთისა წინაშე,  
 რომ მის წყალობის ღირსი არა ვარ.  
 ჟერეთ ერმა ვიყავ, რომ ვაღვიარე  
 შირითა ქრისტეს სარწმუნოება,  
 მაგრამ გულით კი მის მტერი ვიყავ;  
 შემდეგ ასევე ორ გულობითა  
 კვლად მივიღე სარწმუნოება  
 იაკობისა, მაგრამ არ ვიყავ  
 არც ქრისტიანი, არც ებრაელი;  
 ორივე ერი საშინლად მძულდა,  
 ჩემი ერი კი უფრო ძალიან.  
 ეველას, რასაც ის შატავსა სცემდა,  
 ვითა წმინდანსა, მე დავსცინოდი:  
 ან რასაც სჭრული ჩვენ გვიერძალავდა  
 მე თავსებდებით ვეურჩებოდი.  
 სადაც გონება უძლური იყო  
 უღმრთო აზრების გამოსასატად,  
 იქ მე ვიწყობდი დაცინვას, კილვას,—  
 და შევთხზე წიგნი, ეშმაკისაგან  
 შთაგონებული... წვეულები იყო ს  
 ხელი დამწერი იმა წიგნისა!  
 იმას შეკძლო დედაჩემისთვის  
 ბოლო მოეღო!

რუმინ (იქით)

შენ რა ბრალი გაქვს!

უარილ.

«შესვრილია ის კლამი სისხლით,  
რომლითაც მე ის წიგნი დავწერე.  
ყოველივე ის, რაც მე მიძახნდა  
ჩვენი სჯულისა წინააღმდეგად—  
ვერძობ სინდრუვისა ქმნილება არი.  
ყოველივე ის, რაც მე მეგონა  
გონების წყაროდ და კეძასოდ  
მწყურვალთ იმ წყაროს დასწავებოდნენ,—  
არის მხოლოდა წყალი ჩამდგარი  
იმა ცხოველთა ნაფესურშია,  
რომელნიც იმავე თავითვე გვძულან.  
მე ჩვენი წმინდა გამოცხადება—  
სიტყვა ყოვლისა შემოქმედის—  
არა-რად მჩანდა და იმის აზრებს  
გაძლევი სრულად სხვა მნიშვნელობას;  
წინასწარ-მეტყველთ ნაწერებსაცა  
სიყალბედ ვრაცხდი,—და ამაშია  
ვპოვებდი უღმრთო სიამოვნებას...»

(ხმა უსუსტდება და ფეხვდ ქლივსდა დგას; რაბინები იჭერენ, რომ არ წაიქცეს).

აწ ჩემი თავი თვით შევიძებე  
და მინდა ჩემი დანაშაული  
სინანულითა გამოვისყიდო!  
და იმისათვის რომ დავიმტკიცოთ  
ჩემის სულისა სიმშვიდე, რომ მე  
მომძეთ წინაშე არ ვიამაყებ;—  
ვითა ცოდვილი შემჩანებელი  
აქ... წმინდა ტაძრის კარის წინაშე.  
დაწვები ზირჭვე და სუველამა  
მე ზედ ფეხითა... (უკრძობლად დახრება).

## რუბენ.

რა შესმის ესა?

სანტოს (იღებს ქალღღს და კითხულობს).

«აქ, წმინდა ტაძრის კარის წინაშე  
 დაწვები შირქვე და სუვეელაძა  
 მე შედ ფეხითა გადაძარეთა»

რუბენ (მოთმინებიდამ გამოსული).

მოდექით! ან მეც მასთან მამკალით!

(საჩქაროდ გავარდება. ურიელი კი სინალოლაში წაიღეს. რაბინები თან  
 გასდევნენ. შესიკის მაგივრად სინალოლაში მლოცველთა სხვა ისმის).

## გამოსვლა მესუთა

იოსხანი და დე-სილვა (საჩქაროდ შემოდინან).

## სილვა.

რა გინდა ქმნა შენ, ბენ-იოსხაი!  
 არა გრცხვენინან? ჭკუაშედ მოდი!  
 ნუთუ გონება დაგიბნელა შენ  
 მომეტებულმა ბედნიერებამ?

იოსხანი (იუფრება სცენის იქით).

აგერ, აგერ ის, ამაჟი, ზვავი!  
 რაო, კარგია გათასსირება?  
 დაე იტანჯოს, დაე გაიგოს,  
 რომ ანგარიში მას გაუცრუვდა!  
 შენ რაღაც ფუჭი ოცნებისათვის  
 გასწირე თავი! ივლით-ნეშია  
 და მის ხელში ბზა შენთვის არ ჰქუავის! (გადის).

სანტოს (კიბეზედ მდგარი).

«აქ, ნუთუ თქვენცა ბედისა ძალნო  
 იგინივე ხართ, რომელნიც ზეცის  
 კარებს უღვანან გუშეგებადა?..  
 თქვენ, ქერაბიმნო ბასრის მასვილით.—

## ბ. რედაქტორო!

ეს ლექსი ჩემს ქალაქებში ვიპოვე და გიგზავნიტ როგორც ნიმუშს უწინდელის დროის სუბრობის მიწერ-მოწერისას რ. ე.

განსვენებულის დავით ჟიმშიერის შვილისაგან მიწერილი განსვენებულს ღენერალ-მაიორს თამაზ ჟამბაკურ—ორბელიანთან. \*)

თქვენს ბრწინვალებას ებრძანა მოკითხვა და რაღაც ქება, რაღა მადლი მოგასსენო, ან ჩემგან რა იკადრება?.. არ ვინცაღი შენმა შხემა, რომ შენ ლექსი გაიმება, თორემ ადრევე მოგართმევდი, რაც რამ ჩემგან გეფერება.

მე ვინცობ შენს მოწვალეს გულს, რაც გშენის, ის გაიმება, მრავლის ზირის საჭეზარო, ჩემგან რაღა გეჭირება... ჭართველთ მოკითხვა მოგწერეს, სხვანი მუსლზე გეკონება, ხელს-პირს გკონიან ესენი, მანდ მოსვლას კი ელონება.

ბეგის მძისწული ჭამდა, საალის შვილი ნინია, რა გაგუარნენ, მას აქეთ არც ერთს არ გაუტინია, ზენტელა შვილი მახსიმე, დარბის ვით თეთრი ფინია, ზატრონს დაეკებს ყაფარა, არც იმას გაუღიმია.

მუნთუაშვილის სახელი, კვტე შენ უფრო კარგად იცი, მოგიკითხავს შენი ჯღა, სიყვარულზე განამტკიცო, თარხნის შვილმა ღუარსაბმა ორჯერა სთქვა დიდი ფიცი, თქვენი ბრძანა სიყვარული, სთქვა: „სხვა კაცი, არა ვიცი.“

მოგიკითხა კოჭლმა ზანამ, შენმა დიდმა მეგობარმა, ყოინიძე ყორნი შვილმა, სატამ—არ გასასარმა, ფორაქოლდამ სუციშვილმა, კოლოლამ, არ სხვათ სდარმა, მწწრიმალე გეურჭამა, თქვენგან ბეკრჯერ დანანარმა.

\*) გვონებ ეს ორბელიანი იმყოფებოდა მაშინ ფოთის ალბის დროს და იქ იქნება ეს წიგნი მიწერილი. რ. ე.



ისაია ყასაბ ბაში, სერთვის ბუკი ტერვართანს,  
ბრმა სერჟანტი თოფსანისა, გელის აბანოს კართანს,  
მუნთუაშვილი ოსეთა დგას ზურნა ქანარსთანს,  
ალავერდაც კი მოგელის შენი ყმა და ბანდა ხანა.

თქვენი გზის მაყურებელი დავითა მზარეულია,  
აკეტიქ ბურთიგაშვილი; ეს ნონე გარეულია,  
წატურ, ასატურ, სეხატურ, ბანდურ დალეულია,  
ადიბეკა და მისი ძმა, თქვენთვის ცრემლ-მორეულია.

ჯღერიაშვილი სტეფანე, ქორ ასანა, გიჟ ახშერა,  
ზოფურა და ყარაგოზა, შენთვის კენესამ დაბერა,  
უზნაშინთ ისაიმი თქვა: „მთლად სოფელი დამეტყრა,  
მოკვდეუბი უნახავადა, არ მოკვლენო, გგონებ ვერა“...

მომკითხველად დამევიწყდა, მე, შენი ძმად ნაფიცარი,  
შაბუდალაშვილი ანა, სვე-ბედისა დამემობარი,  
ოხანესა ცხვირ მოჭრილი და ალია შენთვის მკვდარი,  
შემომხივლეს: „ვაკვიწყდითო, ბევრჯერ ვიყვით ნახმობარი.“

## ბ. მკითხველად!

მერამ ნომერში რომ გამოგელაპარაკე, ორიოდე ახალი  
ამბის შეტყობინების შემდეგ გამოგეთხოვე და ალგითქვი,  
რომ ყოველ ნომერში „თითო-ოროლა“ ახალ ამბავს გეტყვი  
მეთქი. მხლა სწორედ გითხრა ბერს ვიცემ თავში: ბიჭო!  
რა გრჯის! რა შენი საქმეა ახალ ამბებზე ლაპარაკი, შენ რო-  
მელი ფოსტა ხარ—ვეუბნები ჩემს თავს; მაგრამ რასაც კაცი  
თავის თავს უზამს, მთელი ქვეყანა არ უზამს! მთელი ბუნე-  
ბა და მასთან მთელი ჩენი ქალაქი ემზადება მომავლის გა-  
ზაფხულის, მომავლის აღდგომის დასახელებად, „ჰაი-ჰარად“  
ემზადებიან „გამოსაპარანქათ“ და სულ იმის ფიქრში არიან თუ  
სააღდგომოდ რომელმა რომელ ბაღში იქეიფოს და მე კი აქ  
რალაც „ამბებს“ გამოვდგომივარ. სწორედ ჩემისთანა კაცზედ

არის ნათქვამი! „შევეს ბახლა მოუკედა, ბუს მიუგდო, შენ იტირეო“! აბა რა ჩემი საქმე იყო, რა, რა, რომ პირობას გაძღვედი. ნეტავი ჩემი სიტყვის ბატონი მაინც ვიყო, რომ დღეს ასე ვთქვა ხვალ ისე; მაშინ ჩემი საქმე კარგად წავიდოდა: ეხლა გეტყობდი თუმცა დაგპირდი, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ვეღარ მოგართვი დაპირებული ახალი ამბები მეთქი. შენც შაჰხტებოდი და შემოპტრიალდებოდი, მაგრამ რას იზამდი!

მე ალგითქვი პირად და არა ნოტარიუსში დამტკიცებული ქალაღდით, ამისათვის ვერ მიჩივლებდი; თუნდ გვიჩივლა კიდევ და მეც უარი არ მეთქვა, მაინც ხომ წეს-წყობილობისა მებრ შენი შეილის შეილიც ვერ მოესწრობოდა „ლისტის“ ალებას. სწორედ ამ მოსაზრების გამო ძალიან მომწონს „თავისი სიტყვის ბატონობა,“ მაგრამ მე კი მონა ვარ ჩემი სიტყვისა და ამისათვის არ შემიძლიან არ შეგისრულო დაპირებული. იქნება შენ არც კი გჯერა ჩემი სიტყვები, მაგრამ დაფიქრდი და დამერწმუნები:— არა! მე რომ ჩემი „სიტყვის მონა“ არ ვიყო, განა ვერ ვილაპარაკებ მუშტაიდ-ვაზა—დიდუბ-ორთაქალაში საზან ღრით და დუდუკით „ქეიფზე?“ ვილაპარაკებ მაგრამ იმ ბალებში დროს გატარება და ქეიფი „ახალი ამბავი“ არ გახლავთ; მაშა სადამე იმ ლაპარაკით დაპირებას ვერ ავასრულებ და კიდევ სწორედ აი ამისათვის თავს ვაწებებ ამ მოსაგონათაც კი სასიამოვნო ამბებს და გელაპარაკები ვილაც ს...ზე, რაღაც ახალ ლიბერალ „ახალ-თაობაზე... „არა ვინ-მე, ვინ ისინა?!

მე ერთი ვილაც არავისგან ნაცნობი, ის კი გამოჩენილი... სახლების შენებით... იმას თქვენც იცნობთ მგონია! მს ის ს. ბძან ჯება რომელიც ერთს ქუჩაზე აშენებდა ბ. კ—ს სახლებს. ამ ბატონმა ისე ერთგულად დაუწყო სხვის სახლის კედელს ძირის გამოთხრა, რომ უბრალო მუშებმაც კი შეატყეს, რომ ეს უზარ-მაზარი კედელი ამ დამცირებას არ მოითმენდა, განრისხდებოდა და მთელი თავისი სიდიდით „მოიმზღვლეოდა“ მათ უმფარველო არსებაზე. მუშებმა კიდევ შეატყობინეს ბ. ს... ეს და

„კნიაზ ფოდრაჩიკს“ მაგრამ ამათ ყურადღება არ მიაქციეს. ან კი მითომ რაო, რათ უნდა მიექციათ ყურადღება?! ძაცი დიდ შენობას იმისთვის აიღებს „ფოდრადით“ რომ დიდი ფულიც მოიგოს. თუ კი ყველა წერილმანს გამოუდგება და ფულს არ გაუფთხილდება, ხომ ვერც-არას მოიგებს. სხვის სახლის კედლის ზამინების მიცემა სამი-ოთხი თუმანი დაჯდება და სამი-ოთხი თუმანი ადვილად საშოვარი არ გახლავთ ჩემო ბატონო; ახლა ესეც უნდა ვიფიქროთ: რომ არ დაქცეულიყო? (ღიან ეს საფიქრებელია ამისათვის, რომ ვინც ფულის მოგებას შესდგომია, ის რაც თავის სასარგებლო არ არას „რომ არ“-ობით სწყვეტს...) თუმც საზამინო ხეები შემდეგში მასალად გამოდგებოდა მაგრამ მუშის ფული ხომ ტყუილად დაიხარჯებოდა.

არ ვიცი თქვენ რას იტყვიან და მე კი არც ერთს: არც დ. და არც ს. არ ვამტყუნებ: ვინც ფულის მნიშვნელობა და ყადრი არ იცის ის კაცადაც არ ჩაითვლება!

სულ ფული ფული და ფული!.. რას გიკვირს? მე მგონია არა გჯერა ჩემი სიტყვები!.. მმ! ძმაო! როგორც გატყობ ჯერ გამოუცდელი ჰყოფილხარ ცხოვრებაში. მარწმუნებ ეს საუკუნე ფულის საუკუნეა. შულს ეწირავთ ყველა ფერსა: სინილის, პატროსნებას, ცხოვრებას, — სიკოხლესაც კი. მაგალითებისთვის შორს არ წავალთ. ავიღოთ თუნდა ჩვენი ბევრი და მრავალი იმ ახალ გაზღებთაგანი, რომელთაც თავი მოაქვთ სწავლა განათლებითაც, შთამომავლობითაც და სხვა და სხვა—ერთი სიტყვით ისინი ვინც თავიანთი სიტყვითაც და ჩვენი ინტელლიგენციის (!) სიტყვითაც—შეადგენენ, როგორც რუსები იტყვიან, „ნაღებს“ ჩვენი ყმაწყილ-კაცობისას. აი,

ავიღოთ მაგალითად ის, ვისაც თქვენც იცნობთ და მეც — „კნიაზ“ (თუმცა უთვის-ტომო) „პ“-ირი, თავისი კკუა უხეობის გამო გადაკეთებული „ე“-მირზე. ამ ვაჟ-ბატონმა ფულის გულისათვის არ დაღუპა ორა უმანკო სული? ფულის გულისათვისე არ მოარბოდა ქუდ მოშელეპილი და უკან კინტოები მოსდევდნ „დერჯი ემუ“-ს ყვირილით? ფულის

გულისთვისეც არ მიბრუნდა იქ საიღამაც მწვერებმა გამოიგ-  
დეს და სადაც დასტოვა რევოლვერი? თავისი მაშინდელი ჯი-  
ბის სიმდილრე? შულის გულისათვისეც არ არის ეს გმირი  
მანც კიდეც მიღებული ჩვენს (სხვასთან მე რა დავა მაქვს)  
უპირველეს პირებთან? ჰო, ბატონო! ჰო, ჰო და ჰო!

\* \* \*

შეელა ეს კარგი, მაგრამ თავს რაზე ვიტკივებ?! ამ გვარ  
„ვაჯებს“ ამითი არც დააკლდებათ რამე და არც მოემატებათ:  
წარსულ სეზონში ერთ ჩვენ ახალ აქტორ ქალს უთხრეს:  
ჯერ შენ ახალი ხილი ხარ ჩვენი სცენისათვის, როლები კარ-  
გად მოამზადე ხოლმე, ტანისამოსი კარგად შეიხამე ხოლმე-  
თორემ თუ საზოგადოებას ეხლავე არ მოეწონე, მერმე ძნე-  
ლი-ლა იქნება შენგნით იმათი დაკმაყოფილებაო. ახალმა  
სცენის „კაკა“-მ არც აიღო და არც დაიღო, პირ-და-პირ უპა-  
სუხა: „მზე ჩემკენ იყვეს თორემ ვარსკვლავებისა შიში არა  
მაქვს...“ საქმე რეჟისორია: თუ უნდა ამწვეს, თუ უნდა დამ-  
წვეს (ამ სიტყვებით იმას უნდოდა თქმა: რეჟისორი კიდეც  
ამამაღლებს საზოგადოების თვალში, კიდეც დამამდაბლებს).  
ის ჩემკენ იყოს, თორემ ბევრს რამეს შევეუბოები ვილაც  
ორიოდე კაცი რომ კუნტია სკამებზე!“ ამ ქალს გარგად რომ არა  
სცოდნოდა ჩვენი ცხოვრება, ხომ სცენისათვის არც გამოდ-  
გებოდა. ღიად! ამ ქალის სიტყვები მართალია. საქმე „ბობო-  
ლებია“:

თუ გინდა ასს, ათასს გამოუცდელ ქალს წაართვა ის  
რაც აქვს მას უუძვირფასესი, მანც ნუ გეშინიანთ თუ ფუ-  
ლი გაქვს. მს იმიტომ და იმისათვის, რომ ფული არის  
ეხლანდელი პატიოსნება და ამ გვარი „პატიოსნების“ მქო-  
ნეს ყველას სახლის კარი ღია გაქვს, ყველგან მიღებული  
ხარ.

მაშ თუ ეს ასეა გადავიდეთ ისეც „ახალ ამბავზე“, (იქ-  
ნება ახალი არა გითხრა, მაგრამ მე ახალს ვეძახი, რადგანაც  
ეხლად გავიგონე) ჩვენი ზნეობის წინ მსელელობაზე.

\* \*

სწორედ გითხრათუ სხვა ნაირადა ვართ უკან დარჩენილები ამ მხრივ კი ბედი ძალიან გვიღობის, ჩვენი ზნეობა და მიმართულება ისე უმჯობესდება, რომ... რომ.. ძალიან სანატრელ მომავალს უნდა ველოდდეთ:

ბუშინ წინ ერთი ვიყ-ბატონის დალაგებულ ლაპარაკს უგდებდი ყურს და აი რა გავიგონე: „ჩვენ თავის დღეში კაცის ზნეობას არ უნდა შევეხოთ... თავის შინაურს ცხოვრებაში კაცი როგორიც უნდა იყოს.“—მს მართალია. ჩვენ უნდა ემიძღვანებლობდნ ამ სიტყვებით. მს ბატონი ძალიან შორს გამჭვრეტი გახლავთ და თუ რამეს გვიწარმეტყველებს უნდა თვალეზზე ხელები მივიფაროთ და მივიდიოთ იმის სიტყვების აღსრულებას და, ეხლა ხომ ვართ და ვართ, და შემდეგ უფრო სანატრელს მდგომარეობაში ჩაეცვივით.

ჩემის აზრით, ვიმეორებ, ეს ყმაწვილი მართალია: ეინმემ სახლში, ცალკე, არა საჯაროდ რომ ათასი ქალიც გააუბედუროს ჩვენ რა, ჩვენ რა საქმე გვაქვს, რა გვენაღვლება, ოღონდ ეს ამბავი არ ჩაიდინოს იმ ადგილზე, საიღამაც ჰქუხს და ჰსკეკს შესახებ ჩვენი ზნეობის დაცემისა, უსინიდისობისა, უპატიოსანებისა, ანგარებისა და ყველა ამ წუთის სოფლის უკუღმართობისა... სიტყვით ხომ ზნეობას გვიქადაგებს და საქმით რაც უნდა ის მოახდინოს... აი ბატონო, აქა მოხსენებული საბუთის გამო „ბობოლის“ შემოხსენებული სიტყვების აღსრულება მიმაჩნია ზნეობის დაცემისაგან დამხსნელად და ამისათვის აღარავის „შევეხები“... შემდეგ ნომრამდის.

გიგაურიანთ უხნელი.

მ ა რ ტ ს

მობრძანდი, მარტო, დროისით  
თოვლ-ჭეხაუნა და წელიანო,  
ჭკუაზედ თხელო, სულელო,  
ხანდისხან ქარიშხლიანო.

შექვერე ავამტოფივით  
 ღრუბლიანო და მსიანო,  
 არც გასაფხულო, სამთარო,  
 არც თუ ნათელა დღიანო.

მათ უკან დაედევნება  
 მერცხალი ჭიკჭიკ ენისა,  
 გასაფხულისა მომდევნი  
 დამატებობელი სმენისა.

გულის ჭირთ უკუ გაპერული  
 მკურნალი დამძალ სენისა,  
 ბუდამ ერთ სმასედ მკალობი  
 მოუვარე დედა ენისა.

მზე ღრუბლით გამოერკვევა  
 და გვიზამს წყალობასაო  
 შოშიაც გადმოფრინდება,  
 დაკვირთამს კალობასაო.

გრილი ნიაჟიც მოკუბერავს,  
 (სწორედ სამოთხე იქნება)  
 გული ხალვათად იტოკებს  
 და სისხლით კაიტყენება.

გახაფსულდება ორი მხრით,  
გადამღება ველიო;  
ჭრელ კაბა ქათიბს ჩაიცვამს  
ბუნება საუფარელიო...

გაფალ ტეჟ-ველად ვინარებ  
დავეკონები იასა;  
ბულბული შორით იკენესებს,  
გასძახებს „ტია-ტიასა.“

ჭაყელი.

## წ გ რ ი ლ მ ა ნ ი •

◆ დაიბეჭდა „თვით-განვითარება“ სმაილსისა, თარგმანი ივანე როსტომაშვილისა.

თვით-განვითარება ძალიან კარგია, რასკვირველია, და უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას, რომ ცოტა უფრო მსუბუქი ენით იყოს გადმოთარგმნილი. მსწიგნი შეიცავს 64 გვერდს და ღირს 20 კაპ.

◆ ამ დღეებში მივიღეთ ბ. ტოლსტოის 5 მოქმედებიანი დრამა „Власть Тьмы.“ ლ. ტოლსტოი ცნობილია როგორც უუნჩივიერესი მწერალი. შინც კი ხსენებულს დრამას წაიკითხავს მას წარმოუდგება თვალ წინ რუსეთის დაბალი ხალხის ცხოვრების ნამდვილი სურათი იმ მხრივ, რა მხარესაც ბ. ტოლსტოი ეხება.

◆ „ივერია“ ში იყო დაბეჭდილი: „შაფათს, 14 მარტს, ვილაც სცენის მოყვარეთაგან ბანკის თეატრში ცხოველი

სურათები იყო გამართული „მეთხვის-ტყაოსნიდგან“ „ზანდე-გილიდგან“, „თამარ-ღაზნელიდგან“ და „სამშობლოდგან“. ხალხი საკმაოდ დაესწრო, მაგრამ თვით სურათები მეტად უღა-ზათოდ და უხამსად იყო დადგმული: არც რიგიანი განათება, არც ტანისამოსი, არც სხვა-რამ ღირსება არ ჰქონია ამ ცხო-ველს სურათებს, ასე რომ მხოველი-კი არა, სწორედ მკვდა-რი სურათები გამოვიდა. ღამსწრე საზოგადოება ჩიოდა და უკმაყოფილებას აცხადებდა, რომ ასე უმართებულოდ მოექ-ცნენ ეს ვიღაც ვითომდა სცენის მოყვარენი თავიანთ მოვა-ლეობასაც და თვით საზოგადოებასაცა—“ო.

თუმცა ეს წერილი „ახალ ამბებშია“ მოქცეული, მაგ-რამ ახალი ამბავი არ გახლავსთ ამ გვარი ქცევა იმ ვაჭებისა-გან ეინც ეს ანბავი ჩაიღინა.

ჩვენ შეეიტყეთ რომ ეს სურათები ბ. პლ. მესხიშვილისაგან იყო დადგმული, თუმცა მესამე გვერდზე იმავე გაზეთისა თა-ვისი წერილით ამაზედ უარს ამბობს და „საჯაროდ იყრის თავიდგან ამ ბრალს“.

\* \* \*

◆ განათლება ათინაში რასაკვირველია უკვლახათვის ცხა-დია, რომ ბერძნები გამოუთქმელის სურვილით მიისწრაფიან განა-თლებასაკენ. ათინაში არსებობს ძრავალი პირველ დაწვებითი სა-სწავლებელი. საერო სასწავლებლები ზოგნი დაფუძნებულნი არიან ერობის სარჯზედ, ზოგნი სასემწიფო სარჯზედ. ათინაში გარდა ამისა არის სასულიერო სასწავლებელიცა (სემინარია), რომელ-შიაც ამზადებენ საერო მასწავლებლებსა; არის აგრეთვე გემნაზია, რომელშიცა სწავლობენ იმავე საგნებს, რასაც ჩვენ გემნაზიებში; იქვე არის სასწავლებლები: სამხედრო და პოლიტექნიკური, უმა-ღლესი ნორმალური სამეურნეო, ქალების ინსტიტუტი არსაკო-ნისა, ინსტიტუტი დედოფალი ამალიასი, 7 ლიცეა, უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი ათინაში დაფუძნებულია 50 წლის წინეთ; ესლა იქ ირიცხება 80 პროფესორი და 1,200 სტუდენტი; მომეტებული ნაწილი განათლებული ასაღვაწდობისა პროვინციებში მიდის მას-წავლებლად.

ქალების სამასწავლებლო „ზაკედენიები“ გასაოცარი არსაკეონის საქალებო ინსტიტუტი“. ეს იწოდება „არსაკეონის“-ად ბერძენი არსაკეონის პატივის საცემად, რომელსაც ინსტიტუტის დასაფუძნებლად დიდ ძალი ფული შეუწირავს. ამ ინსტიტუტის საქმეებს რჩევა განაგებს, რომელიც პროფესორებისა და ქალაქის პატივცემულ პირთაგან არის შემდგარი. გარეშე მოსიარულე მოწაფეები ისღიან თვეში ცხრა აბასსა. როდესაც მოწაფენი ათავებენ გურსს ინსტიტუტებში, მაშინათვე მიდიან მასწავლებლად პროვინციების საერო სასწავლებლებში, ანუ ემსწავლეების აღმზრდელებათ დგებიან სსკა-და-სსკა სასლებში. არსაკეონის სასწავლებელს ისეთი სასული აქვს დამსახურებული, რომ მოსწავლეთ გურსის შესრულებამდისვე იწვევენ სსკა და სსკა სასწავლებლებში მასწავლებლად და აღმზრდელებად. საზოგადოთ ბერძენები ყოველთვის ცდილობენ ემსწავლეების აღმზრდელებათ თავიანთი მემამულე იეოლიონ. ძალიან ხშირად სდება სოლმე რომ ინგლისში მცხოვრები ბერძენები თავიანთის ემსწავლეების აღმზრდელებს არსაკეონის ინსტიტუტიდგან მოიწვევენ სოლმე.

### კათილი რჩევა.

ყური მუდამ გჭოხნეს ღია,  
 კბილით დაიჭირე ენა...  
 თან უსომოთ იქონიე,  
 თაკ მდაბლობა და მოთმენა.

სიცილს გაფთხილება უნდა,  
 კუნჭულში უნდა ტირილი;  
 თუ ქება გინდა ვისმესი,  
 ნება გაქვს იწყო უვირილი.

◆ პუშკინის ჩრდილოეთ რუსეთში გავზავნის მიზეზი იყო მისი ლირიკული თხზულებები, რომელშიაც ახალი გაზდა პოეტი ძალიან თავის უფლობად აღვიარებდა თავის შენედელობას მთავრობის ზოგიერთ მოქმედებაზე. ეს ლექსები ძალიან გავრცელდა პეტერბურგში, პეტერბურგის გენ. გუბერ-

ნაცროს გრაფს მილორადოვიჩს უბანეს გამოეძიებინა ეს საქმე. მილორადოვიჩმა მოიწვია თავისთან პუშკინი და პოლიცმენისტერს უბანა აეწერა და დაეუჭადა ყველა ქალაღები, რაც კი პუშკინის სახლში მოიძებნებოდა.

— გრაფო! უთხრა პოეტმა, თქვენ ტყუილად სწუნდებით: იქ იმ ღვესებს ვერ იპოვნით. უმფობესია უბანით მომიტანონ ქალაღდი და საწერ-კალაღი და ენლავე ზეპირად დაგწერთ იმაზე უკეთესს ღვესებს, რასაც თქვენ ეძებთ.

პოეტმა ეს სიტყვები თურმე ისე გულ-წრფელად წარმოსთქვა, რომ მილორადოვიჩმა სთხოვა დედოფალს შეესწუებინათ სასფელი ახალ-გაზდა პუშკინისათვის.

\* \*

◆ ქალბატონო, მე თქენი ტყვე ვარ...

— ჰოო? მაგრამ მე კი დატყვევებული არა ვარ თქვენთან!

◆ რა განსწავლება გაზეთებსა და ცოლ-ქმარ შორის.

გაზეთები ვერ დასორდებიან, მერე ლანძღამენ ერთმანეთს, ცოლ-ქმარი კი ვერ ლანძღამენ ერთმანეთს მერე შორდებიან.

◆ რითი განირჩევა ქმარი ქარაფშუტა ცოლისა ხარისაგან?

ხარი ემაყოფილია თავის რქებით, ქმარი კი სულ სწვა რიგათ უყურებს ამ დამამშვენებელს საგანს.

◆ ქაღების მუსაღი.

პირველი. მე ამ ღღებში ამოვიკითხე დასაფერებელი აზრი.

მეორე. როგორი?

— ისეთი, რომ ქალი ყოველთვის სიამოვნებით იგონებს იმ კაცს, რომელიც მან პირველად შეიყვარა.

— აბა რა სისულელეა!.. ქაღის თავის ღღეში არა ახსოვს-რა, ის იგი-წყებს ყველას: პირველიდგან მოკიდებული უკანასკნელამდის.

◆ ერთი ქარაფშუტა რეცნზენტი ძალიან აზვიადებდა თავის რეცნზიების მნიშვნელობას და ყოველ შემთხვევაში იკვებოდა: მარცნივ და მარჯვნივ ვარიგებ ჭაუას და ღიდებასაო.

— მართალია, შექნიშნეს მას. თქვენ ასე უნვად გირიგებიათ ჭკუა და დიდება, რომ თქვენ წილიად აღარა დაგრჩენიათ რაო.

◆ ალერსისათვის ალერსი.— ერთხელ ერთი ქალი თავის ამხანაგ ქალთან მივიდა; უკანასკნული შინ არ დახვდა, შიხედ მოხვდა, სახლის მორთულობა გამტვერიანებული იყო და; ყოველ ადგილზედ თითით დააწერა: „ბიხტური“. მეორე დღეს მეგობარს ქალს შეხვდა და უთხრა:

— მე გუშინ შენთან ვიყავი და შენ კი ვერა გნახეო.

— ვიცო— შენი სახელი სახლის მორთულებზედ თითქმის ყველგან დაგეწერა, მიუგო ალერსიანათ მეორემ.

◆ ჭკვიანი მოსწავლე. ერთი მოხელეს შვილი სისულიერო სასწავლებელში ეგზამენს იჭერდა. მასწავლებელმა ჰკითხა:

— სეითი, ქამი, და იაფეტი—ნოეს შვილები, ვისი შვილები იყვნენ? ყმაწვილმა ვერ მიუგო, დადარდიანებული დაბრუნდა მამასთან და თავისი თავ-გადასავალი უამბო.

— როგორ? ეს ვერ მიუგე?.. ვასილი, ივანე და დიმიტრი—პრისტოვის შვილები, ვისი შვილები არიან? ჰკითხა გადავრებულმა მამამ.

— პრისტავისა!.. მიუგო შვილმა.

— მე რე ასრე ვერ უთხარი?..

ყმაწვილი დაბრუნდა და სთხოვა მასწავლებელს მეორედ გამოეცადა.

— კარგი მიუგო მასწავლებელმა. აბა ენლია მითხარი: სეითი, ქამი და იაფეტი—ნოეს შვილები, ვისი შვილები იყვნენ?

— ჩვენი პრისტავისა! მამაცად მიუგო ყმაწვილმა



## თ ე ა ტ რ ი ს ე ლ ს ტ ა.

გურულს. თქვენ ახალ-გაზდა ბჰანდებით თუ მოხეცი ჩვენ არ ვიცით, ის განლაკთ ლონდონში მომხდარი ამბავი და—არა თქვენი პასუხი, წერილების პასუხებს ვბეჭდავთ იმ განყოფილებაში, სადაც ეწლა ამ პასუხს ჰკითხულობთ—„ფოსტა“-ში.

- ◆ გორგასლანს. არ დაიბეჭდება.
- ◆ გორი. სამ... რომელი „ორი“?
- ◆ თბ—ში. ვახ... მარჯო „ნატურა“-ს დაბეჭდავთ.
- აწყ... დ. გამ... 6 და 7 ერთად არის.
- ◆ ქუთ. გელ. ჩვენ მოვიწონეთ, სხვამ დაიწუნა.

ქართლ. ზანცხადება.

Принимается подписка на 1886-1887 г.

(ИЗДАНИЯ ГОДЪ ТРЕТІЙ)

### ЕДИНСТВЕННАЯ-ЕЖЕДНЕВНАЯ

ТЕАТРАЛЬНАЯ ГАЗЕТА

4 ВЪ ГОДЪ **„ТЕАТРЪ И ЖИЗНЬ“** 3 ПОЛГОДА  
 РУБ. **3** РУБ.

Въ газетѣ помѣщаются всѣ свѣдѣнія о всѣхъ театрахъ: столичныхъ, провинціальныхъ и заграничныхъ.

Москва. Большая Дмитровка, домъ Солодовникова.

Редакторъ-Издатель **Ө. Д. ГРИДНИНЪ.**

(3—1)

რედაქტორ-გამომცემელი ა. ნუბუროძე